


შპს „რენომედ ლოჯისტიკა“
 ფინანსური ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	541273	133584	5702
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15185058	9778659	2396
მარაგები	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	2739	1814	0
ძირითადი საშუალებები	3607	3938	4948
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	15732677	9917995	13046
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	4750469	4721417	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	360
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	14550	25400
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	4750469	4735967	25760
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივი)	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	10982208	5182028	-12714
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	10982208	5182028	-12714
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	15732677	9917995	13046
სულ მოკლევადიანი აქტივები	15729070	9914057	8098
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	4750469	4735967	25760

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, დამტკიცებულია გამოსაშვებად 2021 წლის 28 სექტემბერს.

გიორგი ლაშხი

 დირექტორი

ირინე გამცემლიძე

მთავარი ბუღალტერი



შპს „რენომედ ლოჯისტიკა“
 ფინანსური ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები	31/12/2020	31/12/2019
ნეტო ამონაგები	17524536	17931706
საქონლის გაყიდვიდან	17524536	17931706
გაყიდვების თვითღირებულება	-13029469	-12221078
საერთო მოგება	4495067	5710628
დასაქმებულთა ანაზღაურება	-98382	-65630
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-820	-1010
საპროცენტო ხარჯი	0	-4150
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-468920	-272779
სულ საოპერაციო ხარჯები	-568122	-343569
საოპერაციო მოგება	3926945	5367059
სხვა არასაოპერაციო (ხარჯი) / შემოსავალი:		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	1873235	-172317
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაცი.	5800180	5194742
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	5800180	5194742
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	5800180	5194742
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	5182028	-12714
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	10982208	5182028

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, დამტკიცებულია გამოსაშვებად 2021 წლის 28 სექტემბერს.

გიორგი ლაშხი

დირექტორი

ირინე გამცემლიძე

მთავარი ბუღალტერი


ი. გამცემლიძე

შპს „რენომედ ლოჯისტიკა“
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2020	31/12/2019
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	392420	186276
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-14500	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-29151	-10850
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	348769	175426
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	58920	-47544
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	133584	5702
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	541273	133584

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, დამტკიცებულია გამოსაშვებად 2021 წლის 28 სექტემბერს.

გიორგი ლაშხი

დირექტორი

ირინე გამცემლიძე

მთავარი ბუღალტერი



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

„რენომედ ლოჯისტიკს“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2018 წლის 06 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საიდენტიფიკაციო ნომრით 405289147.

კომპანია რეგისტრირებულია როგორც სპეციალური სავაჭრო კომპანია და მის საქმიანობას წარმოადგენს ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, გაბრიელ ისაკაძის ქ., N 12, ბ. 57.

კომპანიის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელია, კვიპროსში რეგისტრირებული საწარმო - რენოვაიზ ინვესტმენტ ლიმიტიდ (ს.ნ. - HE385978).

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

„აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე, რომელიც შესაბამისობაშია მსს ფასს-თან და მოიცავს შესადარის ინფორმაციას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება.“

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულია ამ ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ.

2.1) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, რომელიც შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებულ ნებისმიერ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებასა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად.

2.2) მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

2.3) დაბეგვრა

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

2.4) შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

2.5) ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული საქონლის რეალიზაციასთან/მომსახურების გაწევასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

2.6) სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

2.7) საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

2.8) შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, დამტკიცებულია გამოსაშვებად 2021 წლის 28 სექტემბერს.

გიორგი ლაშვი

დირექტორი

ირინე გამცემლიძე

მთავარი
ბუღალტერი